საიდ. №71420/03

IR 1150773

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №167-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, დ. ჭიჭინაძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ“ (Egis Gyógyszergyár Zrt.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №167-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2096/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „СУЗАНЕТТ”

(საიდ. №71420/03, IR 1150773) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 ივლისის №2096/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "СУЗАНЕТТ" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის "Richter Gedeon Nyrt.“ (მისამართი: Gyömroi út 19-21, H-1103 Budapest) სახელზე მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა "СУГАНЕТ" (IR 778059, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 28.01.2002). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია კირილიცაზე და მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ასევე, ჟღერადობით. განსხვავებულია მხოლოდ მე-3 ასო, „З“ და ასო „Г“, რაც ნიშნებს არ ანიჭებს საკმარის განსხვავებას და ქმნის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშანი ითვლება სხვა ნიშნის აღრევამდე მსგავსად, თუ იგი ასოცირდება მასთან მთლიანობაში, ცალკეული განსხვავებების მიუხედავად. სიტყვიერი აღნიშვნების მსგავსება შეიძლება იყოს ბგერითი (ფონეტიკური), გრაფიკული (ვიზუალური) და აზრობრივი (სემანტიკური). დაპირისპირებული ნიშნები შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ცალ-ცალკე, ისე სხვადასხვა კომბინაციაში. აპელანტის მითითებით, ნიშნების ბგერითი (ფონეტიკური) მსგავსება განისაზღვრება:

- მსგავსი მარცვლების არსებობით და მათი განლაგებით,

- მარცვლების რაოდენობით,

- მახვილებით,

- ნიშნის თანხვედრი ნაწილების ხასიათით და სხვ. საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებული ნიშანი „СУЗАНЕТТ“ და დაპირისპირებული ნიშანი „СУГАНЕТ“ ახდენენ განსხვავებულ ზოგად შთაბეჭდილებას მომხმარებელზე და გარდა ამისა, ნიშნები არ წარმოადგენენ მსგავს ნიშნებს ფონეტიკური კრიტერიუმების მიხედვით. განცხადებული ნიშანი შედგება ხუთი თანხმოვანისაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი - 4 თანხმოვანისაგან. აპელანტის პოზიციით, ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად მათში არსებული თანხმოვანების განსხვავებული რაოდენობის გამო, გარდა ამისა განცხადებულ ნიშანს „СУЗАНЕТТ“ ახასიათებს გაორმაგებული "ТТ", რაც მას დამატებით გასხვავებას ანიჭებს. აღნიშნული განსხვავებებიდან გამომდინარე, დაპირისპირებული ნიშნები ახდენენ გასხვავებულ შთაბეჭდილებას მომხმარებელზე მათი წარმოთქმისას და მოსმენისას, შესაბამისად, ისინი არ არიან აღრევამდე მსგავსნი ფონეტიკური

კრიტერიუმით. დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან აგრეთვე გრაფიკულად. სააპელაციო საჩივარს თან ერთვის, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „რიხტერ გედეონ ნირტ.“ თანხმობის წერილი, სადაც იგი აცხადებს, რომ არ არის წინააღმდეგი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „СУЗАНЕТТ“ (IR 1150773) დაცვაზე საქართველოში კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ“ სახელზე საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით მე-5 კლასის სრული საქონლის ჩამონათვლისათვის, მათ შორის შემდეგ საქონელზე: 05 – „ფარმეცევტული პრეპარატები ადამიანისათვის“ (Pharmaceutical preparations for human use). აპელანტის განმარტებით, კომპანიამ „რიხტერ გედეონ ნირტ.“ გასცა თანხმობის წერილები აგრეთვე, მოლდოვაში და სომხეთში, სადაც ასევე გაცემული იყო წინასწარი უარყოფითი გადაწყვეტილებები და შემდგომში ეს გადაწყვეტილებები შეიცვალა დადებითი გადაწყვეტილებებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ N2096/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „СУЗАНЕТТ” (საიდ. N71420/03, IR 1150773) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო

ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „СУЗАНЕТТ" (IR 1150773) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „СУГАНЕТ" (IR 778059) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად. ორივე ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული შრიფტით კირილიცაზე. ნიშნებს აქვთ მსგავსი საწყისი ნაწილები „СУЗА" - „СУГА". მსგავსია ასევე, მათი დაბოლოება „НЕТТ" – „НЕТ". განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის განსხვავება მხოლოდ ორ ასოში მდგომარეობს, კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით შეიცავს ასოს „З" და ერთ დამატებით ასოს - „Т", რაც ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მოხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარების მიერ გამოითქმის, როგორც „სუ-ზა-ნეტ", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი, როგორც „სუ-გა-ნეტ". ორივე ნიშანი სამ მარცვლიანია და მათი საწყისი და ბოლო ნაწილები იდენტურად გამოითქმის.

მსგავსია, ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი, რაც კიდევ უფრო ზრდის სასაქონლო ნიშნების მსგავსებას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

რაც შეეხება აპელანტის მიერ წარმოდგენილ თანხმობის წერილს, რომლის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „რიხტერ

გედეონ ნირტ.“ თანახმაა, აპელანტი კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ“ მიერ განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „СУЗАНЕТТ” (საიდ. №71420/03, IR 1150773) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო პალატის კოლეგიის მიერ, აღნიშნული წერილი არ იქნა მიღებული მხედველობაში. სააპელაციო პალატის კოლეგია თანხმობის წერილს მხედველობაში იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაპირისპირებული და განცხადებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებულ კომპანიებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „СУЗАНЕТТ” (საიდ. №71420/03, IR 1150773) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ“ (Egis Gyógyszergyár Zrt.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2096/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

დ. ჭიჭინაძე